№ 75 აპრილი 6, შაბათი 1891 აპრილი 6, შაბათი **№ 75**

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუდიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი 1877—1891

კნეინა მარიამ ზაქარიას ასული ერისთავისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ნახევარ წლის წირვასა და პანაშვიდზე მოსახსენებლად გარდაცვალებულის ქმრისა მისისა თავ. დავით გიორგის ძის ერისთავისა კვირას, 7 აპრილს, დილის 10 საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში. (2–1)

ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ახალი ამბავი

⁂ „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" უკვე მიუღია მთავრობისაგან ნება რთვა ლოტარია-ალეგრის გამართვისა და მისი მმართველობა უკვე შესდგომია საჭირო სამზადისს. ლოტარია-ალეგრი გამართულ იქმნება აღდგომის შემდეგ. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის საზოგადოება კეთილშობილურის თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს და ლოტარია-ალეგრისათვის საჭირო სხვა-და-სხვა ნივთების შეწირვას არ დაიზარებს.

⁂ ხვალ, 7 აპრილს, ნაშუადღევის ხუთს საათზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წევრთა" იმავე საგნების განსახილველად, რომელიც წარსულს კრებაზედ უნდა განხილულიყო, მაგრამ არ იქმნა განხილული, რადგან საჭირო რიცხვი წევრთა არ დაესწრო.

⁂ გუშინ შუადღისას სომეხთ ვანქის ტაძრის გალავანში შეიყარეს თავი ქალაქის ვაჭრებმა, ხელოსნებმა და მოქალაქეთ. სომეხთა ეპისკოპოზმა მამბრემ ეკლესიის კრებულითურთ გადაიხადა პანაშვიდი ახლად ღვთივ განსვენებულის დიდის მთავრინას ოლგა თეოდორის ასულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

⁂ ასეთი პანაშვიდივე გადაიხადა ქალაქის ებრაელთა საზოგადოებამ თავის თორაში და გაუგზავნა მისს იმპერატორებითს უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოზის ძეს დეპეშა, რომელშიაც ებრაელთა საზოგადოება თავის დიდს მწუხარებას უცხადებს დიდს მთავარს. ამასთანავე ჟურნალ „ვოსხოდ"-ის რედაქციას დეპეშა გაუგზავნეს, რომ განსვენებულის დიდის მთავრინას საფლავი ტფილისის ებრაელთა სახელობით გვირგვინით შეამკეთო.

⁂ მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის გარდაცვალების გამო გამოცხადებულ იქმნა, რომ კავკასიის არტილერიის ჯარმა სამი კვირა უნდა იგლოვოს, ხოლო კავკასიის მსროლელთა მის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელის ბატალიონმა-კი სამის თვეითაო.

⁂ დღეს, ამ თვეის 5, პეტერბურგში დანიშნული იყო დასაფლავება მის იმპერატორებითის უმაღლესობისა დიდი მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულისა. ამ დღეს დილითვე ჩვენს ქალაქში მაღაზიები და დუქნები არა-მარტო ქრისტიანებისა, არამედ მაჰმადიანებისა და ებრაელებისაც-კი დაკეტილი იყო, თუმც ამის შესახებ პოლიციას არავითარი განკარგულება არ მოუხდენია. ორ საათზე სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელზედაც დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი და გენერალიტეტი.

⁂ ამ კვირია ტფილისში მართლმადიდებელი ქრისტიანობა მიიღო ცირკის არტისტმა ტ—ჩმა, რომელიც იაპონიიდგან იყო და ბუდის სარწმუნოებას აღიარებდა. ამ არტისტს დიდი ხანია გულში ჰქონია მონათვლა, რადგან ძალიან მოსწონებია ერთი ქრისტიანი ქალი, რომელზედაც ჯვარის დაწერა ჰსურს თურმე.

⁂ წარსულს წელს, 30 ოქტომბერს. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრებაზე მომხდარის უწესოების გამო, რომელიც, ვისგანაც ჯერ იყო, ფინანსთა მინისტრს მოხსენდა, მინისტრისაგან შემდეგი პასუხი მიიღო ამ დღეებში პეტერბურგიდამ დასახელებულმა ბანკმა:

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს.

როგორც კავკასიის მთავარ-მართებლის ცნობებისა, ზედა-მხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის განმარტებისაგან სჩანს 1890 წელს, 30 ოქტომბერს თავად-აზნაურთა კრებაზე გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტს შორის უწესოება მომხდარა იმის გამო, თუ რომელი იმათგანი კალდებული შეამოწმოს კრებაზე მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი რწმუნების ქაღალდები და რა კადაში უნდა მოხდეს ესრეთ ქაღალდთა შემოწმება.

თანახმად ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდებისა რწმუნების ქაღალდები უნდა წარუდგინოს გამგეობას უსათუოდ სამი დღით ადრე, ვიდრე კრება მოხდებოდეს (§ 82) და შემდეგ ზედა-მხედველი კომიტეტი კალდებულია თვალ ყური ადევნოს გამგეობის ყოველსავე მოქმედებას, მოულოდნელად მოუხდინოს რევიზია დავთრებისა და კასსების წარმოებაში, იქონიოს ყურადღება, რომ წესდება ბანკისა დაურღვეველად იქნას დაცული, იზრუნოს, რომ ბანკის ინტერესს არაფერი ეზარალოს, და უკეთუ რამე ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინოს, მიიღოს ღონისძიება ისეთ ბოროტ-მოქმედებათა მოსასპობად. ხოლო რომ ყოველივე ეს კარგად იქნას ასრულებული, ზედა-მხედველი კომიტეტიდამ ერთი წევრი ყოველთვის უნდა დაესწროს გამგეობის კრებაზე (§ 72).

ვიხელმძღვანელე რა ზემო ხსენებული გადაწყვეტილებანი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა, ვცანი, რომ რწმუნების ქაღალდთა მიღება და შემოწმება მოვალეობაა გამგეობისა, რომელიც თანახმად § 82 წესდებისა კალდებულია დასახელებულ ბარათთა შემოწმება უსათუოდ სამის დღის განმავლობაში მოახდინოს. შემოწმების დროს ერთ-ერთს წევრს ზედა-მხედველ კომიტეტისას შეუძლია დაესწროს, რომ შემოწმება წესიერად მოხდეს. აგრეთვე ერთ-ერთი წევრი კომიტეტისა ნიადაგ დაესწრება გამგეობის კრებაზე. ხოლო როცა საგანგებო რამ საქმე მოხდება და დავა ატყდება, ზედა-მხედველს კომიტეტს § 72 წესდების ძალით უფლება აქვს განიხილოს გამგეობის კანცელარიაში საჭირო საგნის ქაღალდები და მით დარწმუნდეს გამგეობის კანონიერსა თუ უკანონო მოქმედებაში, ყოველივე ამის შესახებ

ფელეტონი

ზღაპრად

(დასასრული. იხ. „ივერია" № 74)

ავთანდილი-კი ამ დროს გამალებული მიაქროლებდა თავის „თეთრ-ტაიჯს" და მისდევდა ტარიელის გზაკვალს. კარგა მგზავრობის შემდეგ ავთანდილს შემოხვდა ერთი უზარმაზარი დევი, რომელიც ძლივს კოჭლობით მოჩლახუნობდა. ავთანდილმა დევი იცნო და გამარჯობა უთხრა. შემდეგ ჰკითხა იმისი ამბავი, ვის საძებრადაც წამოსულიყო. „შენ მამიჩემის ძმობილი იყავი და სიმართლე მითხარი, აქეთ მგზავრი ხომ არავინ გინახავსო.

დევ, მამიჩემის ძმობილო,
ხომ არავინ ჩამოგიარა?

— ჩამომიარა ქროლით ერთმა პირქუშმა მოყმემ, უთხრა დაქეცილმა დევმა. მე ეხნავდი, გუთნეული მება, გამიკრა ხელი გუთნეულს და ზღვას იქით გადამიყარა. მეც ერთი ფეხი წამამკრა და შორს გადამასროლა. აღარ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. შენ ტყვილა მისდევ, ავთანდილ, ველარ მიეწევი იმ მოყმეს. იმან საქართველო გადაიარა და სათათრეთში გავიდა. მე ისეთი დიდი გმირი არ მინახავს და არც ისეთი მშვენიერი. ერთი გაიღიმა და ისეთი შუქი გამოკრთა, რომ მთა და მინდორი გაანათა.

ერთმა პირ-ქუშმა მოყმემა
ცხენ ხუთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა გუთანსა,
ზღვას იქით გამისრიალა,
წიხლი მკრა გუთნის დედასა
გ....მა გამოიარა.
ღიმნი ქნა, კბილი გამოჩნდა—
მთას შუქმა გადაიარა,—
მაგას ნუ მისდევ, ავთანდილ,
იმან დიდი გზა იარა;
გასწირა საქართველოი,
სათათრე გადაიარა.

ავთანდილი უფრო მეტის სიფიცხით გამოუდგა უკან ტარიელის გზას და დღე და ღამე დაუსვენრად მისდევდა, მაგრამ ვერ მისწვდა, ვერსად მოჰკიდა თვალი. მიმავალმა ავთანდილმა ერთს მდინარის პირად დაინახა მიმდგარი ჯარი; ავთანდილი დაურიდებლად მივიდა მათთან და იკითხა ტარიელის ამბავი, მაგრამ ვერა გაიგო-რა. მერე გამოიკითხა მათი ასე შეგროვების მიზეზი.

— ჩვენ მგზავრნი ვაჭარნი გახლავართ—უთხრეს ავთანდილს—აქ ჩვენი დადგომის და მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ამ მდინარეზე ეს ერთი ხიდია. სხვა გზა არ არის და ამ ხიდზედაც თითო პეშ თვალ-მარგალიტის გადაუხდელად ამ ხიდის ბატონი არ გვიშვებს ხიდზე.

— ნუ გეშინიანთ, მე გაგიყვანთ და გაგანთავისუფლებთ.

წადგა ავთანდილი წინ და შესძახა ხიდის ბატონს:

— მგზავრი და ქარავანი ღვთისა არის. მათი ძარცვა და წინ დადგომა ცოდვაა, საკადრისი არ არის; მოეცალე ხიდიდგან და გაატარე ქარავანი, თორემ, ტარიელის მზეს ვფიცავ, სამტკივნელოს დაგარტყამ და შენს ტვინს ზღვას ქაფათ მივსცემო.

ეს ქარავანი ღვთისაა,
ურთოდ არ მამიცაა;
ტარიელის მზემ, გაუშვი,
თორემ მტკივანი მიცაა!..
მე შენი ტვინი და სისხლი
ზღვას „შერად" გადამიცაა.

ხიდის ბატონი არ მოეცალა გზიდამ, დაძმობილება მოინდომა ავთანდილთან: ორივემ გავიყოთ შუაზე ძმურად მგზავრთგან ანაღები თვალ-მარგალიტიო:—ესე სჯობია, თორემ რას გამოვრჩებით, ჩვენ ორივემ რომ ერთმანეთს თავი შევაკლათ და ჩვენი სისხლით „ნახლმევით, ნათოფრით" და ნაშუბრით მინდორი მოვრწყათ და ავავსოთო... დამანებე ქარავანი, დღეს მე და შენ ძმანი ვიყვენითო.

მინდორს სისხლის ტბა გვიბრუნავს
ნახმლევ-ნათოფ-ნაშუბარი,
ეს ქარავან დამანებე
დღეს მე და შენ გავხდეთ ძმანი.

ავთანდილს ეწყინა ესა და ერთის მათრახის გადაქნევით, დედამიწაზე გაფშენიტა მგზავრების მძარცველი ბატონი; გაუხსნა თავისუფლად გზა მგზავრებს და გაატარა. მგზავრებმა შესწირეს ლოცვა და დიდი მადლობა ღმერთს, რომ დამხსნელი გამოუგზავნა და ლოცავდნენ ავთანდილის მოსვლის გზას.

ავთანდილი გაეშურა თავის გზაზე და მიჰქროდა გრიგალ-ქარივით. ავთანდილი გავიდა თავის ბიძის ფრიდონის მიწა-წყალში და მიაბრუნა ცხენი ფრიდონისაკენ. ამ სიარულში ავთანდილი მიადგა ერთის დედაბრის ქოხს. ავთანდილმა იმასაც ჰკითხა ამბავი თავის საძებრისა, მაგრამ ვერა გაიგო-რა. ბებერმა ჰკითხა: „სად მიხვალ ახლაო.

— მე მივდივარ ბიძაჩემ ფრიდონთანაო,—მიუგო ავთანდილმა. ეს დედაბერი თურმე „გულთმისანი" იყო და ყველა გაიგო, რაც ავთანდილს სურვილი ჰქონდა. დედაკაცმა ფრიდონის სასახლის მარჯვე გზა ასწავლა

— შენ თუ შენის საწადლის ასრულება გინდა, ბიძაშენ ფრიდონთან რომ მიხვიდე, ცხენი სთხოვე და, როცა მოგცეს, წადი ჯოგში და, რომელიც ჯოგს უკან ჩამორჩება გაჩანჩლული კვიცი, იმას სტაცე ხელი და მოაჯექი, ის გაპოენინებს შენს საწადელს. მართალია ის კვიცი თვალის შესახედავად ცუდია, მაგრამ გადამავალის ქარის ცხენია და მხედარის გულის-პასუხის შემტყობელი. ბიძაშენ ფრიდონს არ იამება იმ კვიცის წამოყვანა, მაგრამ ველარას იზამსო... უთხრა ბებერმა და გზა დაულოცა. ავთანდილმაც მადლობა გადაუხადა და გამოეშურა ბიძისაკენ. ორის დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა თავის ბიძა ფრიდონთან და მოკითხვისა და საუბრის შემდეგ უთხრა: ცხენი დამეღალა და უნდა ერთი მფრინავი კვიცი ცხენი მაჩუქოვო.

ფრიდონ, განუკვი, ბიძაო,
კვიცის რემაის ფრენასო.

— ბიძა მოგიკვდეს მაშინ, რომ მჯობნის-მჯობნე დაგიჭიროვო: შედი ჯოგში და, რომელიც მოგეწონოს

ბანკის წესდების § 101 თანახმად გავუწყებ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად.

ამასთანავე დავრწმუნდი რა, რომ 30 ოქტომბრის უწესობის უმთავრესი მიზეზი ინსტრუქციის უქონლობა ყოფილა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ბანკის წევრთა და დამაარსებელთა ნუსხის შედგენისა და რწმუნების ქაღალდთა შემოწმების დროს, საჭიროდ ვსცანი, რომ კომიტეტმა ესრეთი ინსტრუქცია დაუყოვნებლივ შეადგინოს და წარუდგინოს კრებას დასამტკიცებლად. ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ დავუმატო, რომ ინსტრუქციის შედგენის დროს კომიტეტმა იხელმძღვანელოს შემდეგის წესით, რომლითაც ხელ-მძღვანელობს ზოგიერთი ქუთაისის ბანკის მსგავსი დაწესებულება: 1) ბანკის გამგეობას ყოველთვის ანბანის წესით უნდა ჰქონდეს შედგენილი ნუსხა ბანკის წევრთა და დამფუძნებელთა და თითოეულის გვარის პირდაპირ უნდა დაინიშნოს რამდენი აქვს სესხად აღებული და რამდენი უნდა შემოიტანოს. 2) იმათ, ვინც [illegible] ქაღალდს წარადგენს და აგრეთვე იმათაც, ვინც კრებაზე დასწრების სურვილს განაცხადებს, გამგეობამ უნდა მისცეს ბილეთი, რომელიც ხმის უფლების მქონე და მიცემულ ბილეთებისაგან უნდა განირჩეოდეს და რომელზედაც დანიშნული უნდა იყოს, თუ რამდენი ხმა ეკუთნის ბილეთის პატრონს. 3) უბილეთოდ კრებაზე ვერავინ ვერ უნდა დაესწროს და 4) გამგეობა მოვალეა ზემო განცხადებული ნუსხა ბანკის წევრთა და დამფუძნებელთა კრების დღეს წარუდგინოს თავ-მჯდომარეს, რომ თავმჯდომარეს საშუალება ჰქონდეს ახსნას და გაარკვიოს ყოველგვარი დავა, რაიცა კრებაზე ატყდება.

⁂ 4 აპრილს ელისაბედ შახკულოვმა პოლიციის მეოთხე ნაწილში გამოაცხადა, რომ ამ თვის ორს ღამით სადგური გამიტეხეს და 42 მან. და 20 კაპ. ნივთეული მომპარესო. დამნაშავენი ავეტისოვი და როსტომოვი იპოვნეს და შეიპყრეს.

⁂ ამავე დღეს პოლიციაში გამოაცხადეს, რომ დიუფურის საკანდიტეროში მოსამსახურეს იქვე მოსამსახურედ ნამყოფმა რაჭის მაზრის მცხოვრებელმა ფოფხაძემ 15 მანეთის ნივთეული მოჰპარაო. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ 4 აპრილს ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელთ ივანოვსა და ხმელევსკის მოჰპარეს 27 მან. ღირებული ორი ვერცხლის საათი.

⁂ აპრილის 3 პოლიციის პირველს ნაწილში სოფ. სარკინის მცხოვრებელმა ალი სათვარ-ყული-ოღლიმ იცნო თავის დაკარგული ორი კამბეჩი. ეს კამბეჩები ჰყავდა სოფ. ოძისის მცხოვრებელს გიგო იაკობის ძეს ბაკაკურსა. კამბეჩები ყული-ოღლის შარშან მაისში მოჰპარეს თრიალეთის მთიდგან. კამბეჩები და ოქმი ამ საქმისა დროებით ჩააბარეს ტფილისის მცხოვრებელს გეო სოვდაგაროვს.

—

შეცდომის გასწორება: ჩვენს გუშინდელს ნომერში დაბეჭდილ წერილში „ქართველს ქალებს“-ში შეცდომით არის ნათქვამი: „მამა აბრამის შვილს იაკობს“... უნდა იყოს: მამა აბრამის შვილი-შვილს იაკობს.

◆

ჰაეროსტატით ტანტალი

(მაჰმადიანთ საქართველოდამ)

ჩემი ჰაეროსტატი.—რა გავკეთეთ ამავე წლის განმავლობაში ართვინის მხარეს?—სასწავლებლები ართვინის მაზრაში.—გზები.—უნაღვლელობა ხალხის ჯანმრთელობის საქმისა.—მადნები.

კიდევ მომაგონდა ჩემი მივიწყებული ჰაეროსტატი, რომლითაც ამ ათის წლის წინად ვტანტალობდი ახალ ალებულ ქვეყნებში. ამ ჰაეროსტატის ფრთებად მქონდა გაზ. „დროების“ ფურცლები და ფრენის დროს ვბერავდი, წყალ-მბადის გზით-კი არა, კეთილ „მბადაუ[illegible]ლიო“. ჩემის ჰაეროსტატის შუბლზე, იქმნება, ახსოვდეთ მკითხველებს, ეწერა: „კეთილის დღე[illegible] დღეებო“. ამ ჩემის ხელ-და-ხელ მოწყობილის ჰაეროსტატით ერთხელ ვფრინავდი ახალ-ალებულს ქვეყნებში და დრო-გამოშვებით, ხანდისხან, ვაუწყებდი ხოლმე მკითხველებს აქაურ ავ-კარგიანობას. ასე დიდხანს გაჩუმება ჩემი და საქმის თავის მინებება არ მიაწეროთ იმას, რომ ვითომ მეც გავერიე ყადის ჯორების ჯოგში. ეს იყო ჩემგან დამოუკიდებელის გარემოების ბრალი.

აწ გავბერე ჩემი ჰაეროსტატი და კიდევ უნდა ვიტანტალო, თუ „ივერიის“ ფურცლები ფრთობას გამიწევს. ლონისა-დაგვარ ვაცნობებ ალებულის ქვეყნების ამბებს მკითხველთ.

აგერ ათი-თერთმეტი წელიწადია, მაჰმადიანთ საქართველოდამ არაფერი წერებულა ქართულს გაზეთებში. ამ ათ-თორმეტ წლის განმავლობაში, მას უკან რაც ართვინი ავილეთ, ბევრმა წყალმა ჩაიარა ჭოროხში და შავზღვას შეერთო, ბევრი ზეთისხილი და ხურმა შეიჭამა; ამ ხნის განმავლობაში ორი „ჩინოვნიკი“ კეთილის საქმისათვის მათისა საციმბიროდ გაჰხადეს და ორიც დღეს სამართალში არიან მიცემულნი.

საუკუნის ერთის მეათედის განმავლობაში რა ვაკეთეთ ჩვენ, ქართველებმა, ამ ახალ ალებულ მხარეს? პასუხი ძალიან მოკლეა: არაფერი, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ან სამსახურის მიზეზით, ანუ სამეცნიერო აზრით ესტუმრებოდა ართვინის მაზრას და მოაგონებდა აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომ თქვენი მამა პაპა ქართველნი იყვნენო და სხვა მეტი არაფერი. ამით თავდება საქმე. ჩვენსა და მათ შორის იმისთანა მაგარი კედელია ამოყვანილი ისტორიულის გარემოებით, ფანატიკოსობისა, რომ ვერა ღონე ამ შემთხვევაში ნაყოფს ვერ მოიტანს. მართალია, აქაურებიც იძახიან: „ბაილი“, ჩვენ გურჯები ვართო“, მაგრამ მაინც, თითქმის მესამედი წილი მცხოვრებლებისა გადაიხვეწა ოსმალოში სხვა-და-სხვა მხარეს; დანარჩენებიც შემთხვევას ეძებენ, რომ საუკუნოდ დასტოვონ თავიანთი სამშობლო...

კვალი სომხების მოქმედებისა ართვინის მაზრაში უფრო შესამჩნევია. ამას გარდა, რომ ყველა კათოლიკე და გრიგორიანთა ეკკლესიებთან [illegible] გამართულნი სასწავლებლები, რომელშიაც ასწავლიან სამშობლო და რუსულ ენას, სამი წელიწადია, გრიგორიანებმა გაჰმართეს ვაჟების და ქალების სასწავლებელი, რომელსაც აძლევენ დიდ-შემწეობას სომხების ქველმოქმედების საზოგადოებანი. არდანუჯშიც ააშენეს მშვენიერი, ახლად-ახალი ქვითკირის სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 90 შაგირდი. ამ სასწავლებლების გარდა, ართვინში არის ორ-კლასიანი, ნორმალური სასწავლებელი 60—70 შაგირდით.

—

ართვინის მმართველობა დიდს ზეჯითობას იჩენს გზების გაყვანის საქმეში. მას აქეთ, რაც ალებულია ეს მხარე, გაკეთდა სასოფლო ღონისძიებით კაი საცხენოსნო გზა არდანუჯიდამ შავშეთს. არტაჰანისაკენ ლონგოთ-ხევის ხეობაში კეთდება, ართვინიდამ ორჯოხამდის და ხიდისკენ, სადაც მდიდარი მადნებია. ამ გზების გარდა კეთდება ჭოროხის აყოლება, ართვინიდამ ბათუმამდის, თოკის გზა, მენავეებისთვის, რომლებსაც ბევრად გაუადვილებს შრომას ნავების ბათუმიდამ ამოყვანის დროს. არტაჰან-ბათუმის ბილიკი ჯერ კეთდება.

—

არა მგონია სადმე იყოს მხარე, ყველასაგან თავ-მინებებული და დავიწყებული ხალხის ჯანმრთელობის მხრით ისე, როგორც არის ართვინის მაზრა. თითქმის 60 ათასი მცხოვრებლია და არც რიგიანი ექიმია და არც აფთიაქი. მთელს მაზრას ერთად-ერთი სამოქალაქო ექიმი ჰყავს, იმასაც მუდამ წლები ახალი აქვს... ისე სოფელი, დაბა არ არის, რომ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა არ იყოს.

როგორც ხალხის ჯანმრთელობის საქმე, ისე სამოსამართლო საქმე დავიწყებას არის მიცემული აქეთ. წარმოიდგინეთ, არა თუ მომრიგებელი მოსამართლე, საკუთარი გამომძიებელიც არა ჰყავს ართვინის მაზრას. მართალია, ჰნიშნავენ და მიანდობენ ზოგიერთს ახალგაზდა გამომძიებელს აქაურ საქმეებს, მაგრამ ახალ გაზდობაა: იმათ ბათუმი უფრო მოსწონთ, [illegible]. ბევრჯელ ხალხი, სისხლის სამართლის საქმისთვის დაბარებული, იძულებულია დიდის გაჭირებით ზამთარში და ზაფხულში საქმის დროს ბათუმამდის იმოგზაუროს და ორასზე მეტი ვერსი გაიაროს.

—

ერთხელ 1880 წ. ჩვენა ესთქვით „დროების“ მე-172 ნომერში, რომ „ართვინის მაზრა მდიდარია სხვა-და-სხვა მადნებითა; რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს, ბევრად გაამდიდრებს ამ ღარიბს მხარეს. ეს მადნებიო ესთქვით და არც მოვსტყუვდით. მართალია, მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას, მაგრამ კერძო კაცებმა-კი ისარგებლეს: ბერძენმა სიმეონიდიმ აღმოაჩინა ხოდში მდიდარი, ძველად ნამუშავარი სპილენძისა, თუთიასი და ვერცხლის მადანი. სპილენძი აქ აძლევს 20%, თუთია 60% და ვერცხლი 3 მისხალს ფუთზე. ეს მადანი ახლა რიხნერს აქვს იჯარით აღებული და ის ამუშავებს. ბათუმში გააკეთებინეს დასადნობელი ქარხანა. ბერძენმავე ლაზარევმა აღმოაჩინა მეღლურს სოფ. ზანსულში უმდიდრესი სპილენძის მადანი, რომელიც, საუბედუროდ, სადავოთ გახდა და ამ მიზეზით მუშაობა წინ ვერ წავიდა ჯერ-ჯერობით. ამათ გარდა მარადიდთან—ბეღლევანში, აჭარას—ეაიოში, შავშეთს ბაზგირეთში იპოვნეს ვერცხლის მადნები; არდანუჯის „უჩასტკას“ და ართვინის ახლო—სხვა-და-სხვა მადნები და ქვა-ნახშირი. კერძო კაცთა გარდა ზოგიერთმა მოხელეებმაც მიჰყვეს ამ [illegible] ამშლელ საქმეს ხელი.

ამისთანა მადნები რომელიც არის დღეს და იპოვება ბათუმის მხარეში, სანატრელ მომავალს უნდა უქადოდეს ამ მხარეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ უგზობა აჭირებს საქმეს და აძნელებს მათს შემუშავებას.

ს. ბაგრელი

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ამ ჟამად დიდად ავად არის სომეხთა შესანიშნავი არტისტი ბ-ნი ადამიანი, რომლის სასარგებლოდ ტფილისშიაც ერთი წარმოდგენა გაიმართა. ამისთანავე წარმოდგენა გაუმართავთ ამას წინად პეტერბურგში. აი რა

„მჯობნის-მჯობნე“, მიირთვი, მიწყალობებიაო:

ფრიდონ მოგიკვდეს ბიძა,
მჯობი გიწვალის ჯოგშია;
შედი და გამოარჩიე,
რომელიც სჯობდეს მჯობშია.

ავთანდილი მაშინვე გაეშურა ჯოგში. გამოირჩია წინ ჯოგი და დაიჭირა ის პატარა კვიცი, რომელიც უკან ჩამორჩა და რომელიც ბებერმა ურჩია.—ფრიდონს დაენანა, მაგრამ თქმით-კი ველარა უთხრა-რა ავთანდილს.

ავთანდილმა დაადგა უნაგირი, მოახტა ზურგზე და გაფრინდა კვიცი. თვალიც ველარავინ მოჰკრა. ბევრის სიარულის შემდეგ, ავთანდილის ცხენმა იპოვნა ტარიელის ცხენის „ნატირფალი“ კვალი, დაადგა ამ ნაკვალევს მფრენ-მრბენი და აღარ მოშორდა. ნაკვალევმა მიიყვანა ერთს გამოქვაბულს კლდეში, სადა ერთი დედა-ბერი ცხოვრებდა. ავთანდილი გადახტა ცხენიდამ, მიესალმა დედაბერს და გამოჰკითხა ტარიელის ამბავი.

— აქ მოდის ხოლმე ჩემთან ტარიელი,—უთხრა დედაბერმა:—ახლა სანადიროდ არის წასული და ცოტა ხნის შემდეგ მოვა.

—არა უთქვამს-რა, დედაშვილობას, შენთვის ტარიელს: ან დედა არ დამრჩა შინ, ან ბიძაშვილი და ან ვის იგონებს კიდევ, თავის საყვარელ ნესტან-დარეჯანის გარდა?

— ჩემთვის, შვილო, ტარიელს არა უთქვამს-რა და არც მე ჩავკითხებივარ,—მიუგო ბებერმა.

ავთანდილი შეეხვეწა დედაბერს, უთუოდ უნდა მომიხერხო და ტარიელი მაჩვენო პირის-პირაო.

— არ შემიძლიან, შვილოო, უთხრა ბებერმა:—ის ისეა გაშმაგებული და გახელებული თავის საყვარლის მზე-ქალის დაკარგვით, რომ არავის არ ინდობს, არავის არ ეკარება, მისი ფიქრი და საწადელი მარტოკა თავის მზე-ქალის პოვნა და გამოხსნა არის და რომ ვაჩვენო შენი თავი, ეაი თუ მოგკლას და ცოდვა დამედოს თავზეო. მაგრამ ავთანდილი არ მოეშვა და დიდის ხვეწნა-მუდარით, „თუ მომკლავს, ალალი იყოს ჩემი სისხლიო“, დაითანხმა ბებერი და ბებერმა ავთანდილი დამალა ქვაბში. შეღამებისას მოვიდა ტარიელი სანადიროდამ. ცალ მხარზე ნანადირევი ეკიდა და ცალ მხარზე — დიდი უზარ-მაზარი წიფლის ხე. მოვიდა ტარიელი ქვაბთან, დაგდო ძირს ხე და ნანადირევი გაატყავა, დაანთო ცეცხლი, შედგა ქვაბი და ჩაჰყარა ხორცი. რიცა შინ შემოვიდა, დედაბერმა დაუწყო ტარიელს გამოკითხვა: „ვინ დაგრჩა შინ, ან დედა ხომ არ დაგრჩენია, ან და, ან ბიძაშვილი, რომლის ნახვაც გენატრებოდესო“? — არაო, უთხრა ტარიელმა—არავინ არ დამრჩენია შინ—დამრჩა მხოლოდ ერთი ბიძაშვილი, სახელად ავთანდილი. ის მახსოვს და იმის ნახვას ვინატრი, ნეტავ ერთხელ კიდევ მაჩვენა ჩემი ავთანდილიო.

— ეხლა რომ ნახო ავთანდილი, რას უზამდი, დედაშვილობასა?

— ერთს მაგრად ვაკოცებდი და გადავეხვეოდი,—უთხრა ტარიელმა.

— შენ რომ მაგრად აკოცო, შვილო, ხომ მოკვდება,—უთხრა ბებერმა.

გაიგონა ავთანდილმა ტარიელის ხმა და ჩქარა ნახვის სურვილით აღტაცებულმა ჰკრა წიხლი, გამოამტვრია ქვაბის კარები: „აქა ვარ შენი ავთანდილი, ჩემო ტარიელ“—შესძახა და მივარდნენ ერთმანეთს, საალერსოდ გადაჰხვიეს ხელი და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა.

ამ ალერსში, ტარიელისაგან მაგრად მოხვევნის გამო, ავთანდილს სამი გვერდის ნეკნი „ფურცხალი“ ჩაემტვრა. ტარიელი მაშინვე ჩაეწოდა, ამოიძრო პაიჭიდგან ფასკუნჯის ფრთა, წაუსვა ნატკენს გვერდებზე და გაუმთელ-გაუკურნა.

შემდეგ დასხდნენ ერთად და უამბეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი და თავ-გადასავალი. ტარიელი მოუყვა, რაც ჭირი და ვაება გადაჰხდოდა თავის „მზე-ქალის“ ნესტან დარეჯანის ძებნაში ამ თოთხმეტის წლის განმავლობაში. „ეს თოთხმეტი წელიწადია, ავთანდილ, ვეძებ ჩემს მზესს, დავრბივარ გარე-გარე და ნიშანიც-კი ვერ ვიპოვნეო,—უთხრა ბოლოს გულამოსკვნით ტარიელმა.

ავთანდილმა იმედი უთხრა: „ნუ გეშინიან, ძმაო! მე ვეცდები, რომ მოვნახო შენი მზე-ქალი და ან ჩემს თავს მის ძებნაში წავაგებო; შენ მხოლოდ ნუ ნაღვლობ და დამშვიდდი. უბრალო ხალხთან ჩხუბით არაფერი გაკეთდება, თავს ტყუილად დაიბეჩავებ, სხვასაც ავნებ და შენ მზე-ქალს მაგითი ვერ იპოვნიო. გამოემშვიდობა ავთანდილი და წავიდა ნესტან-დარეჯანის საძებნელად. ტარიელიც არ დამშვიდდა და არ დაეთხოვა ძებნას, დარბოდა ტყე ველში და ეძებდა გამუდმებით.

ავთანდილმა დიდი გზა გაიარა. ვისაც შეხვდებოდა, ყველას ამბავს ჰკითხავდა და ასე კითხვა-კითხვით მიაგნო ნესტან-დარეჯანს. გაიგო დაბეჯითებით, რომ ზღვას იქით, ქაჯებს, ჰყავდათ დამწყვდეული ქაჯეთის ციხეში. ავთანდილი წამოვიდა ტარიელთან, გამოუარა ბიძა ფრიდონს და უამბო ნესტან-დარეჯანის ამბავი. სთხოვა ფრიდონს შველა. დასდეს პირობა ბიძა-დისწულმა და ავთანდილი წამოვიდა ქვაბში ტარიელთან.

ტარიელი ავთანდილს შინ არ დაუხვდა,—„მას უკან ორჯელაც აღარ მოსულა შინაო, უთხრა დედაბერმა ავთანდილს. ავთანდილი გაეშურა მინდორ-ტყეში ტარიელის საძებნელად. ტარიელი ნახა და ახარა „მზე ქალის“ პოვნა. მოვიდნენ ქვაბში ორივენი. ავთანდილმა უთხრა ტარიელს:

— აპა, ძმაო, ჩემი ცხენი: მაღლა ასწევ აღვირს, ზეცას ავარდება, და ძირს დასწევ და მათრახს გადაჰკრავ—ზღვაზე გაფრინდება. შეჯექი ამ „იფრინდაზე“, გადაჰკარ მათრახი და გასტი ზღვას გაღმა. მე და ბიძა ჩემი ფრიდონი ერთად წამოვალთ. ბიძა ჩემი თოკს გამოაგდებს, ზღვაზე მოსდებს ქაჯეთის ციხეს და მე იმ თოკზე გამოვეფრინდები და ჩავხტები ციხეში კისკასად.

ავთანდილი საჩქაროდ გამობრუნდა,

თანაგრძნობით ეგებება გაზ. „Новое Время“ ჯერ ამ წარმოდგენის გამართვის ამბავს და, ამას გარდა, რას ამბობს თვით ბ-ნ ადამიანის შესახებაც:

პეტერბურგის არტისტები გულის ტკივილით მიეგებნენ უბედურებას თავიანთის ამხანაგისას, სომეხთა ტრაგიკოს პეტრე იერონიმეს ძე ადამიანისას, რომელიც ამ ჟამად სტამბოლში სცხოვრობს. სასიამოვნო ამბავია ეს ამბავი. აქედგან აშკარად სჩანს, რომ ხელოვნების წარმომადგენელთა შორის მკვიდრი კავშირი ყოფილა და მეგობრობა, ერთობაც დიდი ჰქონიათ, თუ ასეთ დიდს მანძილზედ ხელი გაუწოდეს ამხანაგსა. ადამიანი დიდად ავად არის. აგერ ორი წელიწადია, სნეულებამ იძულებულ ჰყო თავი დაენებებინა სცენისათვის; არავითარი საშუალება და სახსარი ცხოვრებისა არა აქვს; სცენა იყო იმისი ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა, ის სცენა, რომელსაც თავისის სიცოცხლის საუკეთესო დღენი შესწირა და რომელიც დიდად უყვარდა ადამიანი რუსეთში ჰმოღვაწეობდა. მე-70 წლებში დაიწყო სცენაზედ თამაშობა, 1880—82 წწ. ტფილისის სომხურ სცენაზედ იღებდა მონაწილეობას, ხოლო 1883 წლიდგან 1888 წლამდე რუსეთში მოგზაურობდა. ამ დროს განმავლობაში თამაშობდა როსტოვს, მოსკოვს, ყაზანს, ხარკოვს, კიევს, ოდესას, თუმცა გარეგანი ვითარება ხელს არ უწყობდა, რომ სავსებით დაენახვებინა თავისი ნიჭი მნახველთათვის, რადგან სომხურს ენაზედ თამაშობდა რუსულ არტისტებთან, მაგრამ მაინც თავი გამოიჩინა.

პირველ სცენაზედ გამოსვლისას ყველა ეჭვით უყურებდა, რადგან, ჯერ ერთი, რუსისათვის სომხ[illegible]ლიან სახამუშო იყო და, მეორეც, თვით არტისტი თავის ქებას ერიდებოდა. ხოლო შემდეგ და შემდეგ-კი ყველამ დააფასა, თეატრი ავსებით ივსებოდა, ადამიანი საყვარელ არტისტად გადაიქცა. საუცხოვო თამაშობით მოიპოვა მეგობარი და თაყვანის-მცემელი. 1884 წ. პეტერბურგში გაჰმართა წარმოდგენა, სწორედ იმ კონონოვის დარბაზში, სადაც ამ ჟამად ჰმართავენ იმის სასარგებლოდ კონცერტს. იმ ღამეს ადამიანი „ჰამლეტის“ როლს ასრულებდა. წარმოდგენის შემდეგ განსვენებული სამოილოვი მივიდა ადამიანთან სახლში, გადაჰკოცნა, გადაეხვია და უთხრა: „წმინდის გულით გეუბნებით, რომ სალვინიმ არ დამატკბო ისე თავისის თამაშობით, როგორც თქვენ დამატკბეთო“! მაშინვე საიმპერატორო თეატრების დირექცია კარგს ჯილდოს უქადიდა, ოღონდ-კი ალექსანდრეს თეატრში ითამაშე ხოლმეო. ამასთანავე არტისტს სამს წელიწადს აძლევდნენ ვადად, რომ რუსული ენა შეესწავლა კარგა. ადამიანმა იცის რუსული ენა, მაგრამ არა იმდენად, რომ რუსულს სცენაზედ გამოვიდეს. ადამიანი უმეტესად შექსპირის პიესებში თამაშობდა და არც არავის დაავიწყდება, თუ უნახავს როდისმე მის მიერ დიდის ხელოვნებით შექმნილნი „ოტელო“, „ლირი“, „ჰამლეტი“. არტისტმა სავსებით და უნაკლულოდ იცის ფრანგული ენა და ამიტომ ზოგიერთს როლს ფრანგულადაც ასრულებდა (მაგალითებრ, ჰამლეტისას); განზრახვაც ჰქონდა, პარიჟში წასულიყო როდისმე და იქ გამოეცადნა თავისი ძალა და ღონე. ხელოვნების მხრით ნაკლულევანება არა ჰქონდა-რა, მაგრამ სნეულებამ შეუკრა გზა და კვალი. ამას გარდა, ადამიანი ხატვითაც კარგადა ჰხატავს და სალიტერატურო ნიჭიც დიდი აქვს. ორიგინალურ თხზულებათა გარდა, მან დაჰბეჭდა ფრიად საინტერესო კომენტარიები „ჰამლეტის“ როლის აღსრულების შესახებ. სამწუხაროა, რომ სომხური ენა, რომლითაცა აქვს დაწერილი თავისნი ნაწარმოებნი, ძნელად გასაგებია. ადამიანს რუსთა შორის ბევრი მეგობარი ჰყავს და დიდის თანაგრძნობითაც მოეკიდნენ სტამბოლში მყოფ რუსეთის საელჩოს წევრნი, როცა ავად გახდა. ამ ჟამად ეს სნეული არტისტი სტამბოლის რუსთა სამკურნალოში იმყოფება და სწამლობს ექიმი შჩეპოტიევი.

**

იმავ გაზ. „Новое Время“-ს დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია, ბერლინიდგან კორესპონდენცია, რომელიც გერმანულს ენაზედ ერთ ახლად დაბეჭდილ და ქალის მიერ დაწერილს რომანს შეეხება. ეხლა, როდესაც გერმანიის რეიხსტაგი დღე-ყოველ იმის თავის ტკივილშია, კიდევ რა საშუალება და ღონის-ძიება მოვძებნოთ მხედრობის გასაძლიერებლად, როდესაც თითქმის ყოველი გერმანელი იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რა მოვიგონოთ ადამიანის სწრაფმომაკვდინებელი და სულის გამფრთხობი მანქანაო, როდესაც მთელი ერი გერმანიისა გამკლავებულია,—ეს გერმანიის მიწა-წყალზედვე და ამ ერის სამშობლო ენითვე დაწერილი რომანის ავტორი ამ სურვილს ბრძოლისა და სისხლის ღვრისას „ბარბაროსულს დუხჭირობას, ცივილიზაციის გამაფუქსავატებელსა და კაცობრიობის გარეულ ნადირთა ხროვად გადამქცეველს სურვილს“ უწოდებს. რომანს ეწოდება თურმე „Die Waffennieder!“ („აიყარეთ იარაღი!“) და დაუწერია ჩინებულს მწერალქალს ბერტა სუტნერს. კორესპონდენტის სიტყვით,

ავტორ-ქალს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმისი, თუ ბავშვები „თითქმის აკვნიდგანვე“ როგორ ეჩვევიან და ეთვისტომებიან „ჯარობანას თამაშობით კაცის მოკვლისა და სისხლის დაღვრის აზრს“. მთელი თაობა იწვრთნება, რომ მამულის-მოყვარეობით გატენილს ზარბაზანს მასალა მისცენ. საბუთებით გვიმტკიცებს ავტორი, რომ აი, ხშირად რა უბრალო, რა უაზრო მიზეზის გამო შეეჯახებიან ხოლმე ერთმანეთს [illegible] იერის ბრალს, ხელებს იბანს, სისხლის ღვრას მე არავარ მოწადინებულიო. ყველა თავის იარაღის შემწედ „უფალსა ჩვენსა“ იწოდებს, იმავ უფალს, რომელსაც თაყვანსსა სცემს იმისი მტერიც!

სამხედრო საქმე „გმირობად“ მიუჩნევიათ და ისე შეუთვისებიათ, ისე ძლიერ შეუსისხლხორცებია ასეთი აზრი ერს, რომ ამ „გმირობის“ უწყალობასა და შეუბრალებლობას აღარავინა ჰგრძნობს. ყველა ერისა და დროის პოეტნი სცილობდნენ ლამაზის სიტყვებით მიეჩქმალათ და მიეფარებინათ ბრძოლის ველის თავს ზარის დამცემი სურათი; დაჭრილდაკოდილთა და მომაკვდავთა კვნესა სამხედრო მუსიკის მაღალი ხმა ჰფარავს და ჰკარგავს. ვინ იცის ჩვენ შორის რიგიანად სამხედრო ცხოვრების ავ-კარგიანობა? ისინიც-კი, რომელნიც თითონაც ყოფილან ბრძოლის ველზედ, თითონ გამოუცდიათ, ვერ ამჩნევენ საზიზღარს სურათს ადამიანთა საკლავ და სახოც საყასბოსას. ვის გაუელვებს ან-კი ფიქრად გამარჯვებისა და დახოცილთა სიის კითხვის დროს, რომ ყოველი აქ მოკლულთაგანი ამ ორიოდე დღის წინად ახალგაზდა იყო, ჯან-მრთელი და ბედნიერი; დედა, ცოლი და შვილი ობლად დასტოვა; სიკვდილის დროს იტანჯებოდა და სწყევლიდა და ჰქოლავდა გმირობასაცა და სახელსა და დიდებასაც.

შემდეგ კორესპონდენტი ამბობს, ჩემის აზრით დიდად მამაცი და გაბედავი ადამიანი უნდა იყოს, რომ კრუპისა და მოლტკეს ქვეყანას ასეთი ბრალი დასდოს, ასეთი მკაცრი სიტყვები მიახალოს პირში. დიდება და სახელი ქ-ნს სუტნერს, ნამდვილს გმირ-ქალს ჩვენის დროისასაო!

ლიტერატურის მხრითაც დიდად მოსაწონია თურმე ეს რომანთ-ავტორი-ქალი: დიდის ხელოვნებით უამბობს მკითხველებს ისტორიას ჩვენის დროის [illegible] გაზდა ავსტრიელ გრაფის მეუღლისას.

პირველი ქმარი გმირის-ქალისა იტალიასთან ბრძოლის დროს გარდაიცვალა. შემდეგ პრუსია-ავსტრიის ომს ხოლერა მოჰყვა და ამ ჭირმა დაუხოცა გრაფის ქვრივს მამა, ძმა და დები. მეორე ქმარი, ერთად-ერთი იმედი უმაწვილი ქალისა, 70 წელში გადამდგარი, გამძვინვარებულ პარიჟელთა ხელით მოკვდა, რადგან პრუსიის ჯაშუში ეგონათ. ერთის სიტყვით, ომმა და ბრძოლამ გაუთახსირა და მოუწამლა სიცოხლე ამ ქალს, ომმა და ბრძოლამ გააუბედურა. სუსტი ქალი უმკლავდება ამ საშინელს მტერს, კალამს იღებს და ასწერს სისხლის ღვრისას და ტანჯვის სურათს. აღელვებული მკითხველი დახოცილთა მძორით სავსე ბრძოლის ველზედ მიჰყავს და დაჭრილთა წყლულსა და იარას უჩვენებს. ყოველ სტრიქონზედ ეტყობა, რომ ქალი დიდის გულის მწუხარებითა სწერს, ყოველი მისი სიტყვა ეკლად ესობა ადამიანს გულში. ამ საშინელ სურათებთან ერთად აწერილია თურმე საუცხოვო სურათები მშვიდობიანის ცხოვრებისა, თითქოს ჯოჯოხეთთან სამოთხე უნდა დაუხატოს გზა-დაბნეულ ერს და ამით უფრო ადვილად დაიყოლიოს, ადვილად ააყრევინოს იარაღი, სისხლის ღვრა და ადამიანის ხოცვა-ჟლეტა ადვილად მოაშლევინოსო.

◆

წვრილი ამბები

მეფე შვეციისა

აწინდელი მეფე შვეციისა ოსკარ მე-II ოსკარ I მესამე შვილია, რომელიც სამეფო ტახტისათვის სრულიადაც არ ემზადებოდა და არც-კი ნაღვლობდა ამის გამო. დამოუკიდებელი ცხოვრება უფრო მოსწონდა, ვიდრე ათას გვარის მოვალეობით დატვირთული სამეფო გვირგვინი. იმისი საყვარელი საქმე არტისტობა და სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობა იყო და კიდევაც დასწერა რამდენიმე პოემა, სამუსიკო ეტიუდი და კრიტიკული წერილი. რაკი ოსკარ მე-II ცხოვრებაში ასეთს გზას დაადგა, რასაკვირველია, რომ საცოლეც თავის აზრისა და შეხედულების მონახა. ასეთად მან ნასსაუსის პრინცის ასული სოფიო დაჰსახა, რომელთანაც 1857 წელს დაქორწინდა.

ახალგაზდა ცოლ-ქმართ ცხოვრება ტკბილად და აუშფოთებლად მიდიოდა: პრინცესა თავის პატარა ბალღებს უვლიდა და ულოლიავებდა, ხოლო პრინცი სულითა

მივიდა ბიძა ფრიდონთან. შეეხვეწა, ჩქარა წავიდეთ და მივეშველოთ ტარიელს და თოკები ბლომად წავიღოთ, რომ მისწვდეს ქაჯეთის ციხემდე.

საწყალი ჩემი დედ-მამა რომ ჯამბაზობას მასწავლიდა, თოკებზე რომ მარბენინებდნენ, ასე მეგონა, ბიძია ფრიდონი ტყუილად მაწვალებენ-მეთქი. უბრალოდ ჩემი ტანჯვა და სიკვდილი უნდათ ჩემს დედ-მამას-მეთქი, ეფიქრობდი მაშინ მე უგნური. ის კი არ ვიცოდი, თუ ჩემი დედ-მამა ჩემი თავის გამოსადეგს მასწავლიდნენ და მწვრთნიდნენ.

ბეჩავი ჩემი დედ-მამა,
რა ცოდვა-ჭირით მზდიდიან:
ერთი ციხიდგან სხვა ციხეს
თოკები გამოჰკიდიან;
მე ისე ფრენით გავრბოდი,
რომ თვალნიც ვერ მამკიდიან.
მე ის მეგონა, ქვა თუ მკლენ,
იგინი თურმე მწვრთნიდიან.

ავთანდილი და ფრიდონი მოემზადნენ სამგზავროდ და ჩქარაც წამოვიდნენ. მოადგნენ ქაჯეთის ციხის პირდაპირ ზღვას. მაშინ ავთანდილმა კიდევ უთხრა ფრიდონს: აბა, ბიძია, თოკების გაბმება აქედგან და წვერის მოდება ქაჯეთს ციხეზე შენი საცადით იყოს და ზედ გაფრენა კი მე ვიციო.

ფრიდონ ბიძასა ცდით იყოს
გაგდება თოკებისაო,
ზე გავლა—ავთანდილისა,
როგორც მფრინავი ცისაო.

ფრიდონმა მაშინვე აილო თოკები, ესროლა და მოსდო ქაჯეთის ციხის ბურჯს. ავთანდილმა მოიხადა ქუდი, ილოცა ღმერთი, შეხტა თოკზე და გრგვალ ქარივით წამზე ჩახტა ქაჯეთის ციხეში. დაუწყო ხოცვა-მუსრვა ქაჯებს, მაგრამ, რამდენსაც მოჰკლავდა, იმდენი ისევ ცოცხლდებოდა და დაჭრილი ადგილი უმთელდებოდათ. ამ დროს დაინახა ნესტან-დარეჯანმა ავთანდილი და იცნო თავის ტარიელის ბიძაშვილი.

—აქ რამ მოგიყვანა, ავთანდილ? —დაიძახა ნესტან დარეჯანმა, მაგრამ ავთანდილმა ყურიც არ ათხოვა, ის გაცხარებულს ომში იყო და გუნებაში სწუხდა, რომ დახოცილი ქაჯნი ისე ცოცხლდებოდნენ. მაშინ ნესტან-დარეჯანმა შესძახა: „ნაბდის ხმალი აგე, ავთანდილ, ნაბდის ხმალიო.“ ავთანდილმა მიიხედა გვერდზე და დანახა ნაბდის ხმლები, კედელზე მიყუდებული. ავთანდილმა დაავლო ხელი ნაბდის ხმალს და დაუწყო უწყალოდ ხოცვა ქაჯებს. ბევრის ომისა და ბრძოლისაგან ავთანდილი მოიქანცა, „დათვრა სისხლით“. მაშველს ვერავის ჰხედავდა და უკვირდა ტარიელის ამბავი. მაშინ შესძახა ტარიელს: ბიძაშვილო, „შინშო“, მიშველე, მამეხმარე, თორემ ამ მოზღვავებულმა ქაჯებმა ლამის გადაგიარონ თავზეო.

„შინშო“ *), მიშველე, ტარიელ,
დამჭირდა შენი გმირობა:
ავთანდილ დავსუსტებულვარ,
ქაჯებს აქვს ზემო კლილობა.

ტარიელი ამ დროს ციხის გალავან გარედ იდგა—სიყვარულისაგან გაშტერებული და გახევებული და არაფერს საცადში არ იყო. ავთანდილის დაძახილმა გამოაფხიზლა ტარიელი ამ ღრმა გაშტერებიდგან. მაშინვე ხმა მისცა ტარიელმა ავთანდილს: მე აქ სურვილისაგან გახევებული კარებზე თავსა ვცემდიო და არც-კი ვიცოდი, შენ შიგნით იყავი თუ არაო.

შენ შინ გადახველ, ავთანდილ,
მე კარზე ვდგევარ ხე, ვითა,
სურვილით გახარებული
კარს დავასკდები ქვევითა.

გამოფხიზლებული ტარიელი მივარდა კარებს, დალეწა მთლად, დაამსხვრია კარების გალავანი ციხისა, შევარდა შიგ და დაუწყო ჟლეტა ქაჯებს. ამ დროს მოვიდა ქაჯების ხემწიფეც, დიდ-ძალის ქაჯის ლაშქრით და, როცა ნახა კარები და კლიტეები მთლად დალეწილი, შეწუხდა და მაშინვე მიხვდა: ამას ქვეყანაზე ვერავინ ვერ შესძლებდა ტარიელის მეტიო. ეს უთუოდ ტარიელი მოვიდა, იმან დალეწა კარ-კლიტე, ქობალაქები და მიფანტ-მოფანტა მინდვრებში:

ქაჯებ სთქვეს ტარიელისა:
„ეს საქმე მისეულია,
კარ-კლიტე, ქობალაქები
მინდორში დასრეულია“.

ტარიელმა და ავთანდილმა ამოსწყვიტეს მთლად ერთიანად ქაჯების სინსილა, წამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ტარიელის „მზე-ქალი“ და წამოვიდნენ. კარგა სიარულის შემდეგ მოადგნენ ერთ მდინარის ხიდს. მაშინ უცებ გაიკრა ავთანდილმა ხმალს ხელი და შემოუქნია ნესტან-დარეჯანს: „უნდა ეხლავ გაგათავოო!“ შესძახა ავთანდილმა. ნესტან-დარეჯანს შეეშინდა, პირი წააღო და სამი ქაჯი წამოაგდო პირიდგან. ავთანდილმა მაშინვე დაჰხოცა ქაჯები.

ავთანდილი „გულთმისანი“, ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ ნესტან-დარეჯანს სამი ქაჯი ჩაუძვრა პირში.

მორჩენილი და განკურნებული მზე-ქალი“ წამოიყვანეს და წამოვიდნენ დიდის სიხარულითა და მხიარულობით.

ს. მეთვალყურე

—

ამის მთქმელ ჯოყოლა არაბულს გარდა მიქეს მოხუცებული ხევსური შაველა გოგოჭური: „ძალიან კარგად იცის ვეფხვის ტყაოსანის“ ზღაპარიო. ეს შაველა გოგოჭური სცხოვრობს თიანეთის მაზრაში, სოფ. ხახმატს.

მაგრამ მე, ჩემდა სამწუხაროდ, თუმცა ძლიერ მინდოდა შაველა გოგოჭურის ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე იმასთან წასვლა. ამისათვის ვსთხოვ იმ ჩვენის ეროვნობის გულ-შემატკივართ, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ამისთანა საქმეზე, ჰნახონ მოხუცებული გოგოჭური, სანამ ცოცხალია, დასწერონ მისი ნათქვამი უმეტ-ნაკლებოდ და მიაწოდონ მკითხველს საზოგადოებას.

ს. მ.

---

*) „შინშის“ ხევსურები ბიძაშვილს ეძახიან.

და გულით თავის საყვარელ საქმეს ემღეოდა. მაგრამ გარემოებამ ყოველივე შესცვალა. ოსკარის უფროსი ძმა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა, უშვილო იყო, მეორე ძმა ავადმყოფობამ იმსხვერპლა და ამ ნაირად სამეფო ტახტი და გვირგვინი სრულიად მოულოდნელად ოსკარს დარჩა.

ოსკარი გამეფდა 1872 წელს და თავის დღიურში შემდეგი დასწერა: „მეფემ უნდა შეიძლოს, რომ ყოველგვარი თავისი გემო და ანგარიში, თუნდაც ეს გემო და ანგარიში ყოვლად კანონიერი იყოს, საპოლიტიკო მოსაზრებას და თავის ქვეყნის ინტერესებს დაუმორჩილოს". სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, მეფე, რა-კი სამეფოს მართვა-გამგეობას იკისრებს, ვალდებულია თავის პირად კმაყოფილებისაგან ხელი აიღოს, თავის თავი უარ-ჰყოს და ყოველივე ეს სამეფოს კეთილდღეობას უნდა უმსხვერპლოს. ოსკარი ასეც მოიქცა. თავის საყვარელი საქმე ახალს თანამდებობას შესწირა და სამეფო საქმეებს სულითა და გულით ჩასჭიდა ხელი.

ოსკარ მე-II ყველაზე უფრო საზრუნავადა და საფიქრელად ორი საგანი გახდომია: თავის ქვეშევრდომთა ცხოვრების წარმატება და შვეციისა და ნორვეგიის გაერთიანება და დაკავშირება. მაგრამ, სამწუხაროდ, შვეციისა და ნორვეგიის დაახლოვება აქამდის ვერ შეიძლო, რადგანაც შვეციაში არისტოკრატები მეთაურობენ, ხოლო ნორვეგია დემოკრატთა მიერ დასახლებული ქვეყანაა, სადაც მუდამ ის სურვილი აქვთ, რომ შვეციისაგან განცალკევდნენ და დამოუკიდებელი რესპუბლიკა დააარსონ. ამის გამო ამ ორს მხარეს შუა ნიადაგ შუღლი, განხეთქილება და მტრობაა ჩამოვარდნილი და ყოველივე ცდა მეფისა, რომ ნორვეგიას შვეცია შეაყვაროს, ამაოდ რჩება. ნორვეგიის რადიკალები ყოველთვის მეფის წინააღმდეგ არიან გალაშქრებულნი. იმათ მეთაურობს ცნობილი მწერალი ბიორნსანი, რომელიც ერთხელ იქამდე გაკადნიერდა, რომ მეფე დუელში გამოითხოვა. ეს ამბავი იმას გამოიწვია, რომ კერძო საუბრის დროს მეფემ ბიორნსანს ათიკე მცნების დარღვევა დააბრალა. ასეთის კადნიერების შემდეგ ბიორნსანს, რასაკვირველია, ნორვეგიაში აღარ ედგომებოდა, მაგრამ სადაც უნდა იყოს, ეს ისეთი კაცია, რომ თავისას არ დაიშლის, მთავრობასთან ბრძოლაში ამოუვა სული. თუმცა სამეფო საქმეები ნორვეგიის წყალობით ოსკარ მე-II ისე აწეწილ-დაწეწილი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ იმის ოჯახურს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს.

დანიის მეფე

ოჯახური მდგომარეობა შვეციის მეფისა ხომ ბედნიერების მაგალითს წარმოგვიდგენს; ამ მხრით დანიის მეფეც არა ნაკლებ ბედნიერია, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ გვირგვინოსანს თავისს სამეფო საქმეთა გამო ბევრი ნაღველი და ვაი-ვაგლახი უნახავს. პრინც ხრისტიანე, ადრე შლეზვიგ-ჰოლშტეინის ჰერცოგად წოდებული, 1863 წელს გამეფდა და ამას შემდეგ ერთი წელიწადი არც-კი გასულა, რომ გერმანიასა და ავსტრიასთან ბრძოლა მოუხდა, დამარცხდა და თითქმის თავის სამეფოს მესამედი ნაწილი დაჰკარგა. ამას გარდა დანიის პარლამენტში ხშირად აურ-ზაური ჩამოვარდება და მეფეს უსიამოვნებას მიაყენებენ. მაგრამ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, გვირგვინოსანნი ცოლ-ქმარნი დიდად შეყვარებულნი და პატივ-ცემულნი არიან თავის ქვეშევრდომთა მიერ. ასე გასინჯეთ, იმათ თვით მოწინააღმდეგენიც სიყვარულითა და პატივის-ცემით ეპყრობიან. ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ დედოფალი, რომელიც 15 თვით ხნიერია თავის ქმარზე და რომელსაც დანიაში „დედაკაცთა საზოგადო დედოფალს" უწოდებენ, მეტისმეტად გულ-კეთილი და ქველ-მოქმედი ადამიანია. პოლიტიკაში არასოდეს არ გაერევა და მხოლოდ თავის ოჯახს უვლის და ჰპატრონობს. უნდა სიმართლე აღვიაროთ, რომ ამ საქმეში მას ცალი და ბადალი არ მოეპოვება. წარმოიდგინეთ, ის ამ ჟამად 72 წლისაა და კიდევ იმდენის საქმის გაკეთებას ახერხებს, რამდენსაც სხვა უბრალო სიკვდილის შვილი იმის წლოვანებაში იშვიათად მოახერხებდა. დილით ძალიან ადრე იღვიძებს და ყოველ გვარს საქმეს დედოფლისას და დიასახლისას უნაკლულოდ აკეთებს. გარდა ამისა, თავის შვილებთან დიდი მიწერ-მოწერა აქვს გამართული. ხოლო საკვირველი ისაა, რომ მხცოვანმა დედოფალმა მუსიკა და მხატვრობა იცის და ამ საქმესაც ცოტა დროს არ ანდომებს.

დაქორწინების პირველ-ხანებში მეფე-დედოფალი ძალიან ხელ-მოკლედ სცხოვრებდნენ და ამ ხელ-მოკლეობამ ისინი შრომასა, ზომიერებას და თავ-დაჭერილს ცხოვრებას მიაჩვია.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ აწინდელ მეფეთა შრომა, ზრუნვა და მეცადინეობა დღითი-დღე იზრდება. თითქმის ყველა იმის ცდაში არიან, რომ როგორმე თავიანთი მაღალი დანიშნულების ღირსნი იყვნენ. ბევრს კერძო კაცსაც არ შეუძლია, რომ შრომის მოყვარეობისა და მამულიშვილობის გრძნობის გამოჩენაში აწინდელ ევროპის მეფეთა შეედარონ.

დეპეშა

4 აპრილი

მოსკოვი. ორმოც-და-ათის წლის გასვლის გამო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ლერმონტოვი, რუსეთის „სიტყვიერების საზოგადოებამ" გადასწყვიტა: ვიშუამდგომლოთ, რომ ნებართვა მოგვეცეს გავმართოთ სალიტერატურო და სამუსიკო საღამო დიდს თეატრში, საიმპერატორო თეატრების არტისტთა მონაწილეობით. შემოსული ფული მოვახმაროთ „ლერმონტოვის კრებულის" დაბეჭდვას, დაბეჭდვას ყველა იმისას, რაიცა ასე თუ ისე შეეხება ლერმონტოვს და მის სახელით სტიპენდიის ან პრემიის დაარსებას მოსკოვის უნივერსიტეტში.

ტაშკენტი. საზოგადოდ გადასწყდა, რომ მთავრობის ხარჯით მოსარწყავ მინდვრებად გადიქცეს მშიერ უდაბნოს 300,000 დესეტინა განსაკუთრებით რუსთა დასასახლებლად.

პარიჟი. როგორც ალჟირიდამ ამბავი მოვიდა, დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ ალჟირიდამ წამოსვლის წინად, გაუგზავნა პრეფექტს 2000 ფრანკი ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად და აჩუქა საათები ყველა კანდებს ჯეუდისა ბეკლას ტომებისას, რომელთა შორისაც მისმა უმაღლესობამ რამდენიმე დღე გაატარა.

პარიჟი. „Figaro"-ში დაბეჭდილია ანდერძი პრინცის ჟერომ ნაპოლეონისა. როგორც წინადაც გამოვიდა ხმა, პრინცი ამ ანდერძით ჰნიშნავს თავის ერთად-ერთ მემკვიდრედ პრინც ლუდოვიკოს და არაფერს არ უტოვებს პრინც ვიქტორს, რომელსაც სთვლის მოღალატედ და მეამბოხედ, ამასთანავე ანდერძში სწერს, რომ ჩემს დასაფლავებაზედაც-კი ნუ დაესწრება ვიქტორიო.

ბერლინი. „National Zeitung"-ის სიტყვით, ავსტრი-გერმანიის ხელ-შეკრულობის გამო შემცირებულ იქმნება გარდასახადი მხოლოდ ხორბალსა და მჭავზედ.

„Gestemünde"-დგან იუწყებიან, რომ 81 საარჩევანო ოლქის საპარლამენტო არჩევანში ბისმარკს ამოუვიდა 6481 ხმა, თავისუფალ მოაზრეთა დასის კანდიდატს—2158, გელფების კანდიდატს—2777 და სოციალისტებისას—3664. არჩევანი ხელახლად იქმნება დანიშნული.

ვენა. გერმანელ-საერო დასმა კანონ პროექტი შეიტანა, რომ ბანკისთანა საიმპერიო დაწესებულება დავაარსოთ, ხელი შევუწყოთ სესხით სახელოსნო და სამეურნეო ამხანაგობათ და მკვიდრნი დავახსნათ ფულის სესხად გამცემთა ყვლეფისაგან.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა აწია თავისი დისკონტი 3-დგან $3^{1}/_{2}\%$-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი.

	მყიდველ-ნი.		გამყიდველ-ნი.		გაყიდულ-ნი.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	—	„		„	%	
ტამოჟნის კუპონები . .	—	„	—	„	135	
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1	03	—	„	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	—		—	„	$238^{1}/_{2}$	
—მეორისა	$221^{1}/_{4}$		—	„	—	„
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	—	„	—	„	$217^{1}/_{4}$	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . .	—	„	—	„	—	„

განცხადებანი

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ცვარი

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვეით . . .	10 მ.—კ.	6 თვეით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „ . . .	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „ . . .	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „ . . .	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „ . . .	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „ . . .	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი [illegible] მიერ წიგნი I.	„	30
2) იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile"-ითა და ბიოგრაფიით	„	80
4) იგივე მშვენიერის ყდით	1	25
5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა" ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
6) „სურამის ციხე" გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . .	„	25
7) „მარაბდა" პოემა ანტ. ფურცელაძისა	„	20
8) „წყალობა" პოემა მისივე	„	20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა" ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა" გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა	„	40
10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ	„	30
11) რამდენიმე ლექსი ცახელის.	„	15
12) „სამი ისტორიული ხრონიკა" ექვ. თაყაიშვილისა . .	1	„
13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა.	„	50
14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა	„	50
15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა" შარაბიძისა. .	„	60
16) „დემეტრეს სახლობა" მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა.	„	15
17) „თამარ ბატონიშვილი" ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა.	1	„
18) „Руско-грузинскій словарь" вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუაშვილისა . . .	3	50
19) „არჩილიანი" გამოც. მჩიტაძისა-დიმელისა	„	75
20) „მიბაძვა ქრისტესი" თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით	„	80
21) იგივე უყდო	„	60
22) „მიბაძვა ქრისტესი" წიგნი I და II ყდით	„	70
23) „შვილის აღზრდა" პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა	„	20
24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა" გ. იოსელიანისა . .	„	20
25) „ძეგლის დება" მეფე გიორგი ბრწყინვალისა" ნ. ურბნელისა	„	25
26) „იავნანამ რა ჰქმნა" მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . .	„	10
27) „კიკოლას ნაამბობ" ისტ. პოემა აკაკისა	„	20
28) „ბორკილი" დრამ. თარ. ახნაზაროვისა	„	40
29) ჟანნა — დარკ	„	5
30) ბერლინის გარემოცვა	„	5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества"

Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Доз. цен. Тифлисъ, 5-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.